

სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოში
სარეგისტრაციო მოსაკრებლის სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდის
დამადასტურებელი ქვითრის მიღების წესი

მიზანი

საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის, „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“, „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ და „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად, რეგისტრაციასთან დაკავშირებით დაწესებული მოსაკრებლების სახეებისა და განაკვეთების, მათი გადახდევინების წესის განსაზღვრა.

ტერმინთა განმარტება

-**სარეგისტრაციო მოსაკრებელი** - არის აუცილებელი გადასახდელი სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირები იხდიან „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით, მათთვის კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების ან/და პროდუქციით და საქონლით სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის.

-**ქვითარი/საგადახდო დავალება** - სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშ(ებ)ზე თანხის ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირ(ებ)ი წარადგენენ სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოში, „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული რეგისტრაციის პროცესისთვის.

შენიშვნა:

-ფიზიკური და იურიდიული პირები, სარეგისტრაციო თანხას იხდიან თითოეული პროდუქტისათვის ცალ-ცალკე (ერთ პროდუქტზე ერთი ქვითარი/საგადახდო დავალება).

-ფიზიკური და იურიდიული პირ(ებ)ი ვალდებული არიან ქვითარში/საგადახდო დავალების დანიშნულებაში მიუთითონ კონკრეტული ფარმაცევტული პროდუქტის დასახელება (ფორმა, დოზა და შეფუთვაში რაოდენობა);

-ზედმეტად გადახდილი თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეგისტრაციის მაძიებელს, უბრუნდება სარეგისტრაციო ორგანოს მიერ, მისი წერილობითი განცხადების მიღებიდან 20 დღის ვადაში.

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო და
ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ განსახორციელებელი
ფარმაცევტული პროდუქტის სარეგისტრაციო პროცედურის შესაბამისი
სარეგისტრაციო მოსაკრებლის ჩამონათვალი:**

ა) ფარმაცევტული პროდუქტის სახელმწიფო რეგისტრაცია აღიარებითი რეჟიმით მისი პირველად შემოტანის დროს (გარდა დაინტერესებული პირის მიერ იმპორტირების მიზნის მიუხედავად ფარმაცევტული პროდუქტის პროაქტიულად დარეგისტრირებისა და უკვე რეგისტრირებული ფარმაცევტული პროდუქტის განსხვავებული შეფუთვა-მარკირებით დაშვებისა შეტყობინების გზით) – 500 ლარი;

ბ) ინოვაციური (ახალი ორიგინალური) ფარმაცევტული პროდუქტის სახელმწიფო რეგისტრაცია ეროვნული რეჟიმით – 2500 ლარი;

გ) ინოვაციური (ახალი ორიგინალური) ფარმაცევტული პროდუქტის ხელახალი რეგისტრაცია სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით – 2000 ლარი;

დ) გენერიკული და კვლავწარმოებული ფარმაცევტული პროდუქტის, სისხლის პრეპარატის რეგისტრაცია სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით – 500 ლარი;

დ1) გენერიკული და კვლავწარმოებული ფარმაცევტული პროდუქტის, სისხლის პრეპარატის ხელახალი რეგისტრაცია სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით – 200 ლარი;

ე) იმუნობიოლოგიური პრეპარატის რეგისტრაცია სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით – 500 ლარი;

ვ) იმუნობიოლოგიური პრეპარატის ხელახალი რეგისტრაცია სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით – 200 ლარი;

ზ) რადიოფარმაცევტული საშუალების რეგისტრაცია სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით – 500 ლარი;

თ) რადიოფარმაცევტული საშუალების ხელახალი რეგისტრაცია სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით – 200 ლარი;

ი) სადიაგნოსტიკო საშუალებების: ტესტსისტემების (ნოზოლოგიების მიხედვით), ალერგენების, რეაგენტების (კლინიკური ბიოქიმიისა და კლინიკური ქიმიისათვის) და შრატების ნაკრებების რეგისტრაცია სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით – 400 ლარი; მათში შემავალი თითოეული პოზიციის რეგისტრაცია სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით – დამატებით 10 ლარი;

კ) სადიაგნოსტიკო საშუალებების: ტესტისტემების (ნოზოლოგიების მიხედვით), ალერგენების, რეაგენტების (კლინიკური ბიოქიმიისა და კლინიკური ქიმიისათვის) და შრატების ნაკრებების ხელახალი რეგისტრაცია სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით – 200 ლარი; მათში შემავალი თითოეული პოზიციის ხელახალი რეგისტრაცია სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით – დამატებით 10 ლარი;

ლ) სტომატოლოგიური მასალის რეგისტრაცია სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით – 500 ლარი;

მ) სტომატოლოგიური მასალის ხელახალი რეგისტრაცია სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით – 200 ლარი;

ნ) კონტრაცეპტული მექანიკური საშუალების (გარდა არაინვაზიური კონტრაცეპტული მექანიკური საშუალებისა) რეგისტრაცია სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით – 500 ლარი;

ო) კონტრაცეპტული მექანიკური საშუალების (გარდა არაინვაზიური კონტრაცეპტული მექანიკური საშუალებისა) ხელახალი რეგისტრაცია სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით – 300 ლარი;

პ) სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში II რიგის ცვლილებების რეგისტრაცია სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით – 50 ლარი;

ჟ) კომპლემენტარული სამკურნალო საშუალების ნებაყოფლობითი რეგისტრაცია სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით – 400 ლარი;

რ) კომპლემენტარული სამკურნალო საშუალების ნებაყოფლობითი ხელახალი რეგისტრაცია სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით – 200 ლარი;

ს) პარასამკურნალო საშუალების ნებაყოფლობითი რეგისტრაცია სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით – 500 ლარი;

ტ) პარასამკურნალო საშუალების ნებაყოფლობითი ხელახალი რეგისტრაცია სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით – 300 ლარი;

უ) ბიოლოგიურად აქტიური დანამატის ნებაყოფლობითი რეგისტრაცია სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით – 600 ლარი;

ფ) ბიოლოგიურად აქტიური დანამატის ნებაყოფლობითი ხელახალი რეგისტრაცია სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით – 400 ლარი.